აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№61 (25.085) სამშაბათი, 13 - 14 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 23-28, შიდამთიან რაიონებში - 22-27 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 753 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს, ღამით, ზოგან მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბელგიის სამეფოში დაგეგმილი ვიზიტის ფარგლებში, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შეხვდება. შეხვედრა 14 ივნისს გაიმართება. პრემიერი ბრიუსელში სხვა მაღალი დონის ორმხრივ შეხვედრებსაც გამართავს. ვიზიტის ფარგლებში, იგეგმება პრემიერ-მინისტრის სიტყვით გამოსვლა ხელოვნების ფესტივალ „ევროპალიასა“ და საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო მიღებაზე.

* * *

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, გუშინ მთავრობის სხდომა გაიმართა. ირაკლი ღარიბაშვილმა სხდომის დაწყებამდე რამდენიმე განცხადება გააკეთა, მათ შორის, ყურადღება გაამახვილა ეკონომიკის მიმართულებით დადებით ტენდენციებზე. „ძალიან დადებითი ტენდენციები გვაქვს ეკონომიკის მიმართულებით. ამის თაობაზე ინფორმაცია აქვს მოსახლეობას, ჩვენს საზოგადოებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელს ინარჩუნებს. პირველ კვარტალში თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დაფიქსირდა საქართველოში, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან პოზიტიურია“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

ეროვნული ბანკი რუსეთიდან შემოსული შავი ფულის გასარეცხად უნდათ. ამისთვის სჭირდებათ მორჩილი, ყურმოჭრილი მონა, რომელიც ყველაფერს გააკეთებს, - განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ. საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, რომელსაც პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა, ეროვნული ბანკის საბჭოში პირველი ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღება ხდება, რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას შეასრულებს. სალომე ზურაბიშვილი პარლამენტს სთავაზობს, პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა არ შემოიღოს, ხოლო ბანკის პრეზიდენტის არყოფნის დროს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის მიერ მისი მოვალეობის შესრულების საკითხი ეროვნული ბანკის საბჭომ გადაწყვიტოს.

* * *

პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადებით, საუბარი იმაზე, რომ თურმე „ნაციონალური მოძრაობა“ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად მიხეილ სააკაშვილის წარდგენას აპირებს, უტრირებულია. როგორც ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა და მას სურს, უკრაინის პოლიტიკაში, მათ შორის, საქართველოს საკეთილდღეოდ, ჩაერთოს.

მოამზადა
ია შველიძემ

თორნიკე რიჟვაძე ნიუ-იორკის მერ ერიკ ადამსს შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ნიუ-იორკის მერ ერიკ ადამსს შეხვდა

მხარეებმა თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს და კონკრეტული პროექტების განხორციელების შესახებ გაცვალეს ინფორმაცია. ასევე, საუბარი შეეხო ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულ მნიშვნელოვან შეხვედრებს და მიღწეულ შედეგებს. აჭარის მთავრობის მეთაურმა ნიუ-იორკის მერს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკური, ტურისტული, საინვესტიციო პოტენციალისა და ბოლო პერიოდში მიღწეული პროგრესის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა, ერთობლივი ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის გეგმები დასახეს.

„ჩვენ განვიხილეთ პარტნიორობის გაძლიერება, ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტები და ინვესტიციები აშშ-დან. საქართველო რჩება სამაგალითო ქვეყნად როგორც სამშვიდობო პოლიტიკით, ისე იმ ეკონომიკური პროგრესით და ზრდით, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში აქვს ჩვენს ქვეყანას მისი მთავრობის და ბატონი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. შესაბამისად, მერთან ერთად დავგეგმეთ პროექტები, რომლებიც გააძლიერებს ჩვენს პარტნიორობას, ასევე, ხელს შეუწყობს პირდაპირ ინვესტიციებს ამერიკიდან“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ არაერთი ოფიციალური შეხვედრა გამართა, იგი შეხვდა მაიამი ბიჩის და მაიამი დეიდის მერებს, ფლორიდის გუბერნატორს, ასევე, გამართა შეხვედრები ბიზნესწრეების ხელმძღვანელ პირებთან.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია განიხილეს

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია განიხილეს. შეხვედრას აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა, სამინისტროს თანამშრომლები და მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ

კონცეფციის დოკუმენტის ძირითადი მიმართულებები მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძემ, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) წარმომადგენლებთან ერთად, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე განიხილა.

„საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის“ მიზანია, ხელი შეუწყოს საძოვრების აღდგენის პროცესებს, მეცხოველეობის დარგის ინტენსიურ განვითარებასა და პროდუქტიულობის ზრდის ძირითად გამოწვევებს.

„საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფცია“ შემუშავდა პროექტის „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში ჩამოყალიბებულ უწყებათშორის სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციით, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. პროექტის მხარდამჭერია გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (GEF).

ჯანდაცვის მინისტრმა მიმდინარე პროგრამებსა და დაგეგმილ სიახლეებზე ისაუბრა

4

ფურტიოს სკოლა საუკუნოვანი იუბილესთვის ემზადება

6

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

სომხეთის გენერალური კონსული – ბათუმის მერიაში

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ბათუმში სომხეთის რესპუბლიკის გენერალურ კონსულ ნარინე მათოსიანს შეხვდა

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მერმა კონსულს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და დიპლომატიურ საქმიანობაშიწარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე მიმოიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

არჩილ ჩიქოვანმა კონსულს ბათუმის ტურისტული პოტენციალი და მიმდინარე პროექტები გააცნო.

თავის მხრივ, კონსულმა გამოთქვა მზაობა სხვადასხვა სფეროში არსებული მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების თაობაზე.

უფასო სამედიცინო აქცია – ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე და ქალაქ ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში უფასო სამედიცინო აქციის მიმდინარეობას დაესწრნენ

მინისტრის პირველმა მოადგილე მარი ზანაქიძემ აღნიშნა, რომ უფასო სამედიცინო კონსულტაცია, დიაგნოსტიკური და ინსტრუმენტული კვლევები აჭარის მოსახლეობის სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს უტარდებათ. მოწვეული არიან თბილისის კლინიკების წამყვანი ექიმები. სამედიცინო აქციის ორგანიზატორია ორგანიზაცია „ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავალი“, ხოლო მხარდამჭერები არიან აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია და საქართველოს პარლამენტი.

უფასო სამედიცინო აქციაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის, ამერიკულ-ქართული ჰოსპიტლის, სამედიცინო ცენტრ „ვივამედის“ და „ევექსის“ კლინიკების წამყვანი ექიმები.

სამედიცინო აქციით სარგებლობა შეუძლიათ ვეტერანებს და მათი ოჯახის წევრებს, საჯარო სკოლების პედაგოგებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

„ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი 2023“

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი 2023“ ფარგლებში მე-11 კლასის 10 მოსწავლე დანიაში იმყოფებოდა

გუშინ, პროექტში მონაწილე მოსწავლეებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანმა და ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის დირექტორმა თამარ გაბაიძემ უმასპინძლეს.

პროექტში „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი“ ჩართული იყო ოთხი ქვეყანა - დანია, შვედეთი, გერმანია და საქართველო. უნდა ითქვას, რომ მასში ჩვენი ქვეყანა წელს პირველად მონაწილეობდა.

პროექტის ფარგლებში საგანმანათლებლო ღონისძიების გარდა, ჩატარდა კლასგარეშე აქტივობები, რომელთა მიზანი მოსწავლეებს შორის გამოცდილების გაზიარება იყო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2024 წელს, მასპინძელი ქვეყანა საქართველოა.

აჭარის მთავრობის
პრესსამსახური

ევროკლუბი – სკოლაში

ცოტნე ცაბაძე 27 48 04

საზოგადოებას კარგად ახსოვს ევროკავშირის თანადაფინანსებით ქედის მუნიციპალიტეტში ამოქმედებული. 90-მდე პროექტი, რომელმაც 500-მდე ადამიანი დაასაქმა

ევროკავშირი ქედის მუნიციპალიტეტთან ურთიერთობას კვლავ აგრძელებს. ამის დასტურია ევროკავშირის ელჩის პაველ ჰერჩინსკის ქედაში სტუმრობა. ელჩმა დაბა ქედის საჯარო სკოლაში ევროკლუბი გახსნა, რომელიც მესამეა საქართველოში. იგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის განვითარებასა და განათლების ხელმისაწვდომობის გაძლიერებაში.

ევროკავშირის ელჩს ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები იმედა ვასაძე, მამუკა ფარტენაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, მისი მოადგილე რომან დავითაძე, ქედის რესურსცენტრის უფროსი დურმიშხან შავიშვილი მეგზურობდნენ.

- ეს კლუბი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და კულტურული კერა იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ახალგაზრდების ევროსტრუქტურებში ჩართულობას, - თქვა პაველ ჰერჩინსკიმ...

აჭარის შესახებ სტატიები, ბლოგები და რეპორტაჟები ისრაელსა და პოლონეთში გამოქვეყნდება



აჭარაში მოგზაურობის შესახებ ებრაელი და პოლონელი ჟურნალისტები მასალებს ამზადებენ. ისინი რეგიონში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით იმყოფებიან

ჟურნალისტები უკვე სტუმრობდნენ ბათუმის ძირითად ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს: ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, პეტრას ციხეს, დელფინარიუმს, ასევე, მთიან აჭარას, სადაც ადგილობრივი ღვინო და კერძები დააგემოვნეს, ფოლკლორულ შოუს დაესწრნენ და ქედის ტურისტული ადგილები მოინახულეს. პრესტურის ბოლოს ჟურნალისტებმა მტირალას ეროვნული პარკი დალაშქრეს და იქ არსებული ტურისტული სერვისებით ისარგებლეს.

მედიატურის მონაწილეებს შორის არიან პოლონეთისა და ისრაელის წამყვანი ვებპორტალების, ტელევიზიის, რადიოს ჟურნალისტები და ცნობილი ბლოგერები, რომელთა მიერ მომზადებული სტატიები, ბლოგები და რეპორტაჟები ივნისის განმავლობაში გამოქვეყნდება.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის პოპულარიზაციისა და უცხოელი ტურისტების მოზიდვის მიზნით პრესინფოტურების ორგანიზებას სამიზნე ქვეყნებიდან აქტიურად გააგრძელებს. მიმდინარე წელს აჭარას უკვე სტუმრობდნენ სერბი, კორეელი, არაბი, უზბეკი, ყაზახი ჟურნალისტები. 2022 წელს, რეგიონს 500-მდე ჟურნალისტი, ბლოგერი, ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი სტუმრობდა.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტს ორი ახალი განთავსების ობიექტი შეემატა. ბრენდის სახელია „ერთი დღე სოფელში“. პროგრამა მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება. ფინანსური მხარდაჭერა ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი გრანტის გამოყოფას მაქსიმუმ 30 000 ლარის ოდენობით. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის მიზანია თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ბიზნესის წამოწყებისათვის ან არსებულის გადაიარაღებისათვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება.

* * *

საბავშვო ბაღებმა ავტორიზაციის მისაღებად მზადება დაიწყეს. მიმდინარე წელი სკოლამდელი დაწესებულებების თვითშეფასებას დაეთმობა. ავტორიზაციის გასავლელად საბავშვო ბაღები სკოლამდელი განათლების სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. დამტკიცდა სტრატეგიაც. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული სტანდარტები, ბაღის განთავსება მხოლოდ პირველ და მეორე სართულზე იქნება ნებადართული. კანონით განსაზღვრული იქნება ერთ ჯგუფში აღსაზრდელების და აღმზრდელების რაოდენობაც. ამ ეტაპზე, საბავშვო ბაღები მხოლოდ ორი მიმართულებით, შრომის უსაფრთხოებისა და კვების ხარისხის კუთხით მოწმდება. რეფორმის გატარების შემდეგ, ავტორიზაციის გავლა საბავშვო ბაღებს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მოუწევთ. საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესი 2029 წელს უნდა დასრულდეს.

* * *

ხუთი ახალი ტურისტული მარშრუტი ამოქმედდა აჭარაში. ადრენალინისა და ექსტრემის მოყვარულებს ზაფხულის სეზონზე აჭარის სოფლების მიმართულებით სათავგადასავლო მარშრუტები ელოდებათ. სამთო სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისთვის 25-მდე საფეხმავლო მარშრუტი გაიხსნა, ახალ ტურისტულ ლოკაციებზე მისულ ვიზიტიორებს ადგილზე საოჯახო სასტუმროები, გლამფინგი და კოტეჯები დახვდებათ, საპიკნიკე ლოკაციების მოწყობისთვის 500 ათასი ლარი დაიხარჯა. აჭარის ტურისტული პორდუქტების განვითარების სააგენტოში განმარტავენ, რომ სოფლებში არსებულ ჩანჩქერებთან დაკავშირებით დაინტერესება გაიზარდა, რის გამოც მთებში არსებული ჩანჩქერების შესწავლა და აღრიცხვა დაიწყეს, პარალელურად რამდენიმე ჩანჩქერის მიმართულებით ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა.

* * *

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში სამინისტროსა და აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ჩვენი რეგიონის წარმატებულ სპორტსმენებს - მოფარიკავე ანნო ჯინჭარაძეს, ძიუდოისტებს თომა გელაშვილს და საბა ბოლქვაძეს შეხვდა. ანნო ჯინჭარაძემ ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე რაპირით ფარიკაობაში 14-წლამდელთა შორის შვიდი შეხვედრა მოიგო და ჩემპიონი გახდა. თომა გელაშვილმა ძიუდოში პრაღის ევროპის თასზე იასპარეზა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. რაც შეეხება საბა ბოლქვაძეს, ახალგაზრდა ძიუდოისტმა ამჯერად ისრაელში გამართულ სამბოს ტურნირზე იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მოამზადა
ნაირა შუტკარაძემ

დაწესებული სანქციების მიზანი...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დასავლეთს რუსეთზე ზემოქმედების არაერთი ბერკეტი რომ გააჩნია, არახალია. ეკონომიკური სანქციები უმთავრესი იარაღია, რომელსაც მსოფლიო თანამეგობრობა აგრესორი და საერთაშორისო სამართლის დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ იყენებს

ირანის შემთხვევაში ასეთი დარღვევა ბირთვული იარაღის წარმოება იყო, სამხრეთ აფრიკაში კი ადამიანის უფლებების შელახვა. ამ მხრივ გამორჩეულია რუსეთი, იგი გენოციდის ჩამდენი ქვეყანაა. მისთვის დაწესებული სანქციების მიზანი ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციაა. უკვე 15 თვეა, დასავლეთმა რუსეთთან მიმართებით ქმედითი ნაბიჯები გადადგა და ცხადია, ისმის კითხვა - ამ ქვეყნისთვის დაწესებულმა სანქციებმა რა შედეგი მოგვცა?

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის არასახარბიელოა დაწესებული ეკონომიკური სანქციები, ეს იქნება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო. ბუნებრივია, სანქციები გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბოლო წელია, რუსეთს მძლავრ ეკონომიკურ სანქციებს უწესებენ. მიზანი ისაა, რომ კრემლი დაუბრუნდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, მაგრამ იგი კვლავ აგრძელებს აგრესიას უკრაინის მიმართ, ამიტომაც დასავლეთში უკვე ალაპარაკდნენ სანქციების კიდევ უფრო მძლავრ პაკეტზე. ექსპერტები აცხადებენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა გარკვეული შედეგი გამოიღო, თუმცა ისინი საშუალო და გრძელვადიან პერიოდში უფრო იქნება ეფექტური. ჯერჯერობით კი გარკვეული ზიანი მიადგა რუსეთის ეკონომიკას. მაგალითად, ევროპულმა კომპანიებმა დატოვეს რუსული ბაზარი, გარდა ამისა, რუსეთის გასაღების ბაზარი შემცირდა, რაც მათ მოგებას შეამცირებს. დასავლეთმა რუსეთს გაუყინა ოქროს მარაგი, რის გამოც ვალს ვეღარ ფარავენ, ეს კი საერთაშორისო ბაზარზე მის მიმართ ნდობას კიდევ უფრო ამცირებს.

ექსპერტთა აზრით, რუსეთის დამარცხებისთვის ეს საკმარისი არ არის, აუცილებელია ნავთობისა და გაზის ფასის დაწევა, როგორც ეს თავის დროზე აშშ-ის პრეზიდენტმა რეიგანმა განახორციელა, ანუ კრემლმა ამ ენერგორესურსებიდან ფულადი შემოსავალი დაკარგა ფასების ხელოვნური დაწევის გამო. როგორც ცნობილია, კრემლის უმთავრესი იარაღი (გავლენის სფეროების მოპოვების თვალსაზრისით) გაზი და ნავთობია. ამ მიმართებით აშშ-მა გარკვეული ნაბიჯები გადადგა. როგორც გაცხადდა, ისტორიაში პირველად, ამერიკული გაზის იმპორტმა გადაასწრო რუსულისას ევროპაში, რაც, ცხადია, პოზიტიურ შედეგს მოიტანს. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ძალიან მალე არის შესაძლებელი რუსული გაზისა და ნავთობის ჩანაცვლება, რაც, ცხადია, გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. რუსული გაზის ჩანაცვლების მთავარ რეალისტურ გზად ისევ ალტერნატიული წყაროებიდან ბუნებრივი აირის მილსადენებით მიწოდება რჩება.

ახლა ხშირად კითხულობენ, ელოდა თუ არა რუსეთის ელიტა ამ მასშტაბის ეკონომიკურ სანქციებს? ექსპერტთა თქმით, არ ელოდა. სავარაუდოდ, რუსეთის ხელისუფლება მზად იქნებოდა გარკვეული სანქციებისთვის, მაგრამ დაკისრებული სანქციები შეეხება არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ რუსეთის თითოეულ მოქალაქეს. ეს პროცესი აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე და გააუარესებს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რადგან ხელისუფლება ვერ გაუმკლავდება ინფლაციას, ეროვნული ვალუტის ამ მასშტაბით გაუფასურებას. ძალიან ბევრმა უცხოურმა კომპანიამ დატოვა რუსეთის ბაზარი, რის შედეგადაც რუსეთის მოქალაქეებმა დაკარგეს სამუშაო ადგილები და შემოსავლები. არადა, 2022 წლის ომამდე რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვნად ვითარდებოდა, ყირიმის ანექსია შერჩა, მსოფლიო თანამეგობრობა ეგუებოდა ამ მოცემულობას. რუსეთის მხრიდან უკრაინაში აგრესიის მიზანი ნატოს არგაფართოება იყო, მაგრამ ამ პროცესმა ევროპა უფრო გააერთიანა და ნატო გააძლიერა, რადგან ალიანსში გაერთიანდა ფინეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთს არ ეშინია რუსეთის მუქარის, მეტიც - მას სურს ღია კარის პოლიტიკა კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გატაროს.

ასეთი პრინციპულობა დასავლეთს 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით რომ გამოევლინა, სავარაუდოდ, მსოფლიო ვერ იხილავდა უკრაინის ამჟამინდელ ტრაგედიას, სისხლს, ომს. თითქმის 14 წლის განმავლობაში დასავლეთი, პრაქტიკულად, აფინანსებდა რუსეთს, მის არმიას, თვალს ხუჭავდა საქართველოს ოკუპირებულ ნაწილში საოკუპაციო ჯარის პარპაშზე. მაშინ, რატომღაც, ევროპას მიაჩნდა, რომ რუსეთის ჯარის ჩვენს ტერიტორიაზე შემოყვანა ქართული მხარისგან იყო პროვოცირებული. ამ მიმართებით აქტიურობდნენ ევროპის ქვეყნები - იტალია, გერმანია, საფრანგეთი. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გერმანია, რომლის ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა ჩვენი ქვეყნისთვის და უკრაინისთვის მაპის მიცემას 2007 წელს მხარი არ დაუჭირა.

> ***„ახლა ხშირად კითხულობენ, ელოდა თუ არა რუსეთის ელიტა ამ მასშტაბის ეკონომიკურ სანქციებს? ექსპერტთა თქმით, არ ელოდა. სავარაუდოდ, რუსეთის ხელისუფლება მზად იქნებოდა გარკვეული ტიპის სანქციებისთვის, მაგრამ დაკისრებული სანქციები შეეხება არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ რუსეთის თითოეულ მოქალაქეს. ეს პროცესი აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე და გააუარესებს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას***

რა გახდა მისი ამგვარი პოზიციის მიზეზი? ერთი ვერსიით, პუტინის განაწყენება არ სურდა. ეს ყოფილი ჩინოვნიკი უკრაინის ომის შემდეგაც იხტიბარს არ იტეხს და ამბობს, რომ არ ნანობს, საქართველოსა და უკრაინისთვის მაპის მინიჭებას ხმა რომ არ მისცა. ამ მხრივ საყურადღებოა საჯარო მმართველობის დოქტორის, ბსუ-ის ლექტორ გიგა ფარტენაძის მოსაზრება: „ხშირად ვისმენთ, რომ სანქციები არ არის საკმარისი რუსეთის შესაჩერებლად, თუმცა უნდა შევთანხმდეთ, რომ ეს არ არის ერთადერთი გზა რუსეთის შესაჩერებლად. ქრონოლოგიას თუ მივყვებით, დავინახავთ, რომ პირველი ნაბიჯი, რაც დასავლეთმა ომის დაწყების შემდეგ გადადგა, ეკონომიკური სანქციები იყო. ფაქტობრივად, ომის დაწყებიდან ყოველ ახალ დღეს აშშ-ის პრეზიდენტი სანქციებს აფართოებს და წერტილოვან დარტყმებს აყენებს რუსეთის ეკონომიკას. დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებით შედეგს დღესვე არ უნდა ველოდოთ - ეფექტი გრძელვადიან პერსპექტივაში ექნება“.

ანალოგიური შეხედულებისაა პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „ცხადია, სანქციების გამკაცრება შეიძლება. ჯერ ეს არის რაციონალური დასავლური სანქციები, რაც რუსეთის აღშფოთებას იწვევს, თუმცა სერიოზული სანქციები ჯერ კიდევ წინაა, მაგალითად, შეიძლება ვილაპარაკოთ ბლოკადაზე, ემბარგოზე, სამხედრო ოპერაციებზე... ყველაზე დიდი სანქცია იქნება რუსეთის ტერორისტულ სახელმწიფოდ აღიარება“.

დასავლური სამყარო ყველაფერს აკეთებს, რომ უკრაინას მხარში დაუდგეს და პუტინის აგრესია მაქსიმალურად შეამციროს, დასავლეთს ჰქონდა ორი არჩევანი: გაეგზავნა ჯარი უკრაინაში და დაეწყო მესამე მსოფლიო ომი ან დაეწესებინა ეკონომიკური სანქციები. ვნახეთ, რომ დასავლეთმა აირჩია მეორე გზა, რომლის მიზანიც რუსეთის ეკონომიკის დაზარალებაა, რასაც დასავლეთი წარმატებით ახორციელებს. უდავოა, უკრაინის გამარჯვება დამოკიდებულია დასავლეთის და, ზოგადად, აშშ-ის ღია მხარდაჭერაზე. თუ გაგრძელდება უწყვეტი მომარაგება, მაშინ გაიმარჯვებს უკრაინა, ხოლო როგორც კი მოაკლდება მხარდაჭერა, რუსეთს გაუადვილდება ახალი იმპერიის ჩამოყალიბება, ამიტომ ნატომ, ამერიკამ და უკრაინის მოკავშირეებმა რუსეთის უპირობო მარცხი უნდა უზრუნველყონ, წინააღმდეგ შემთხვევაში უკრაინის სახელმწიფო არ იარსებებს, რაც, უპირველესად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და დასავლეთისთვის იქნება სავალალო.

ევროკავშირის 7 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ინიციატივა...

საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოუწოდეს ორგანიზაციას, უარი თქვას ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ერთსულოვნობის პრინციპზე და უფრო ფართოდ გამოიყენოს კენჭისყრა კვალიფიციური უმრავლესობით.

საერთო პოზიციით გამოვიდნენ გერმანიის, ბელგიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, რუმინეთის, სლოვენიისა და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

მინისტრებმა განცხადებაში აღნიშნეს, რომ ისინი არ გამოდიან წინადადებით ევროკავშირის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, არამედ სთავაზობენ პრაგმატულ მიდგომას, რომელიც ფოკუსირებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე.

„უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ აგრესიული ომის დაწყების დროს ევროკავშირმა დაამტკიცა თავისი მოქმედებების უნარიანობა. ეს შესაძლებელი გახდა უკრაინის მხარდაჭერით დიპლომატიურად, ფინანსურად და ასევე დახმარებით სამხედრო სფეროში, რუსეთისგან ენერგოდამოკიდებულების შემცირებით და უკრაინისა და მოლდოვისთვის ევროკავშირის წევრობის მკაფიო პერსპექტივის შეთავაზებით“, - ნათქვამია განცხადებაში.

უწყებათა ხელმძღვანელების განცხადებით, ევროკავშირმა უნდა გააძლიეროს მოქმედების უნარიანობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კრიზისის დროს და, რადგან ევროკავშირი გაფართოების გზას ადგას, წარმატებული ევროპული ინტეგრაცია მისი ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებას საჭიროებს.

„ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებათა უმრავლესობა მიღების პროცესში ერთსულოვნებას საჭიროებს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში აფერხებს ჩვენი მოქმედების უნარიანობას. ამ წესების საწინააღმდეგოდ და არა წყალობით, ჩვენ შევძელით რუსეთის წინააღმდეგ სანქციების 10 პაკეტის მიღება სუვერენული სახელმწიფოს - უკრაინის წინააღმდეგ აგრესიული ომის დაწყების საპასუხოდ“, - განმარტეს მინისტრებმა და შესთავაზეს კავშირს, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებულ „კონსტრუქციული თავშეკავება“.

აღნიშნული პრინციპი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი სახელმწიფო გამოდის კონკრეტული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მის მიღებას და, აქედან გამომდინარე, არ აჩერებს სხვა 26 წევრს.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

„ენერგოატომის“ ცნობით, ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურში მომუშავე ბოლო რეაქტორიც გააჩერეს. გადაწყვეტილება უსაფრთხოების მიზნით მიიღეს, მიზეზი კი კახოვკის კაშხლის აფეთქება გახდა, რომელიც ენერგობლოკის გაგრილების სისტემას წყლით ამარაგებდა. კახოვკის ჰესის აფეთქებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ და აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით „მსოფლიოში ზოგიერთ დონეზე სამარცხვინო გულგრილობა გამოვლინდა“.

* * *

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს კლევერლიმ ირანი დაადანაშაულა რუსეთისთვის საბრძოლო მასალების მიწოდებაში, რომელიც უკრაინის წინააღმდეგ ომში გამოიყენება. როგორც მან აღნიშნა, დიდმა ბრიტანეთმა და მისმა პარტნიორებმა უკვე დაუწესეს სანქციები „სიკვდილის მომტანი იარაღით ვაჭრობაზე“ პასუხისმგებელ პირებს, თავად კი „ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ამ ალიანსმა პასუხი აგოს ჩადენილის გამო“. დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, სანაცვლოდ ირანი რუსეთისგან იღებს მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობას სამხედრო მიზნებისთვის, ასევე, ფინანსურ მხარდაჭერასა და კონსულტაციებს, რაც იშუამდლია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დაშინებისა და პროტესტების ჩახშობისთვის გამოიყენოს.

* * *

კიმ ჩენ ინი აცხადებს, რომ მზადაა, ფხენიანსა და მოსკოვს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობები და სტრატეგიული თანამშრომლობა გააგრძელოს. მისივე თქმით, ჩრდილოეთ კორეა სრულ მხარდაჭერას და სოლიდარობას უცხადებს რუს ხალხს, რომელიც იცავს თავის სუვერენიტეტსა და მომავალს. „დღეს რუსი ხალხის ბრძოლა მტრული ძალების მხრიდან მზარდი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ შეარყიონ ქვეყნის სუვერენიტეტი, უსაფრთხოება და მშვიდობიანი ცხოვრება, ახალ გადამწყვეტ ფაზას გადის. სამართლიანობა ყოველთვის იმარჯვებს და რუსი ხალხი გააგრძელებს გამარჯვების ისტორიას“, - განაცხადა ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა.

* * *

„ვაგნერი“ არ გააფორმებს კონტრაქტს რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან, - განცხადება „ვაგნერის“ ხელმძღვანელმა ევგენი პრიგოჟინმა გააკეთა. მისი თქმით, შოიგუ ვერ მართავს სამხედრო ფორმირებას. როგორც ცნობილია, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „მოხალისე ფორმირებებს“ 1-ელ ივლისამდე მოეთხოვებათ კონტრაქტების გაფორმება უშუალოდ თავდაცვის უწყებასთან, რაც მიზნად ისახავს უკრაინაში მებრძოლი რუსული ქვედანაყოფების „ეფექტურობის გაზრდას“.

* * *

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, რაკეტების ქარხანაში აფეთქება მოხდა, რასაც ხუთი ადამიანი ემსხვერპლა. თურქეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაღუპულები ქარხანაში დასაქმებული პირები არიან. სააგენტო „ანადოლუს“ ინფორმაციით, ქარხანაში აფეთქება ხანძრის შედეგად მოხდა. ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო და სასწრაფო დახმარების სამსახურები. მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

მოამზადა
ია შველიძემ

ჯანდაცვის მინისტრმა მიმდინარე პროგრამებსა და დაგეგმილ სიახლეებზე ისაუბრა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„მინისტრის საათის“ ფარგლებში აჭარის საკანონმდებლო ორგანოში აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი სამინისტროს საქმიანობის შესახებ მოხსენებით წარსდგა

ნინო ნიჟარაძემ მიმდინარე წლის იმ მნიშვნელოვან პროგრამებსა და ღონისძიებებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებსაც სამინისტრო ახორციელებს, ასევე - 2023 წელს დანერგილ სიახლეებზე. მინისტრის ინფორმაციით, სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი 99%-თ შესრულდა, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტი 15%-თაა გაზრდილი და 33 მილიონ 235 000 ლარს შეადგენს. მისივე თქმით, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით 16 მილიონი ლარი, ხოლო სოციალური დაცვის მიმართულებით 14 მილიონი ლარია გათვალისწინებული. სამინისტრო საქ-

> **„საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმდინარე წლის ბიუჯეტი 3 761 780 ლარს, ხოლო დასაქმების სააგენტოს ბიუჯეტი 1 135 720 ლარს შეადგენს. 2022-2023 წლებში სამინისტროს პროგრამებით ჯამში 75 611-მა მოქალაქემ ისარგებლა, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სერვისით 17 792-მა მოქალაქემ, სოციალური დაცვის - 21 139-მა მოქალაქემ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებით - 36 384-მა მოქალაქემ, ხოლო დასაქმების ხელშეწყობით 296-მა მოქალაქემ**

ვეუწყებო ორგანიზაციებთან ერთად ჯამში 36 პროგრამას ახორციელებს:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმდინარე წლის ბიუჯეტი 3 761 780 ლარს, ხოლო დასაქმების სააგენტოს ბიუჯეტი 1 135 720 ლარს შეადგენს. 2022-2023 წლებში სამინისტროს პროგრამებით ჯამში 75 611-მა მოქალაქემ ისარგებლა, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის სერვისით 17 792-მა მოქალაქემ, სოციალური დაცვის - 21 139-მა მოქალაქემ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებით - 36 384-მა მოქალაქემ, ხოლო დასაქმების ხელშეწყობით 296-მა მოქალაქემ. რაც შეეხება 2022 წელს, შემდეგი პროგრამული სიახლეები განხორციელდა: დაინერგა უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობის პროგრამა, გულისა და ონკოქირურგიის თანადაფინანსება სრულად იფარება. დაიწყო იდიოპათიური მაანკილოზებელი სპონდილიტის, ფსორიაზისა და ფსორიაზული ართრიტის ძვირად ღირებული მედიკამენტების დაფინანსება, ონკოლოგიურ პაციენტთა მოლეკულურ-გენეტიკური კვლევის დაფინანსება, ასევე ტყვიის ექსპოზიციის კვლევა 7-14 წლის ასაკის ბავშვებში. დაიწყო საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა.

2023 წელს დაიწყო თვალის ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა ძვირად ღირებული მედიკამენტებით, ალკოჰოლის შედეგად გამოწვეული ქცევითი აშლილობის სტაციონარული მკურნალობა, გაიზარდა დაფინანსება ძვლის ტვინის გადანერგვის პროგრამაში: აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია 95 000-125 000 ლარით. ალოგენური ტრანსპლანტაცია 170 000-200 000 ლარით, ჰაპლოიდური ტრანსპლანტაცია 205 000 - 235 000 ლარით, გულის ტრანსპლანტაციის დაფინანსება 220 000 ლარამდე გაიზარდა. ასევე გაიზარდა სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების ნუსხა და წლიური ლიმიტი - 35 000 ლარამდე (1 ივლისიდან), გაიზარდა პოზიტრონ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიული (PET/CT) კვლევის დაფინანსება 90-100%-მდე.

გასულ წელთან შედარებით 200 000 ლარით გაიზარდა უშვილობის პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს 700 000 ლარს, გაფართოვდა პროგრამაში ჩასართავ ბენეფიციართა კრიტერიუმები. ინტენსიური თერაპიის მომსახურების თანაგადახდა სრულად იფარება, დაიწყო შშმ პირების მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამას დაემატა მე-4 საცხოვრისი. ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის თანადაფინანსება გაიზარდა 40 000-ლარამდე, დაიწყო ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი, ორსულთა სკოლის პროგრამა. აქვე მოგახსენებთ, რომ დაწყებულია ახალი პროგრამა - დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა სამუშაო იარაღების უზრუნველყოფის გზით, ასევე ახალი პროგრამა - ინფორმაციულ-ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება. აქვე ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ 2021 წელთან შედარებით 2022-2023 წლებში ვაკანსიების რაოდენობა გაიზარდა 10%-მდე, სამუშაო ადგილები - 16%-ით, დასაქმების მაჩვენებელი - 19%-ით, მათ შორის გრძელვადიანი - 72%-ით. 2022-2023 წლებში, დარეგისტრირდა 1097 მოქალაქე, დასაქმდა 1172, მათ შორის ერთჯერადი - 35, დროებითი - 329, გრძელვადიანი - 808.

2022-2023 წლებში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებული 335 მოქალაქე 3 748 719 ლარით დაფინანსდა. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით - 2266 მოქალაქე 5 848 270 ლარით, - განაცხადა ნინო ნიჟარაძემ.

მინისტრის ინფორმაციით, სამინისტრო გასცემს 25 სახეობის დამხმარე საშუალებას, რომლითაც ყოველწლიურად სარგებლობს 1 000-მდე მოქალაქე, ყოველწლიურად ფინანსდება 2 000-მდე ბავშვის რეაბილიტაციის სხვადასხვა კურსი, ასევე - 875-მდე მოზრდილის რეაბილიტაციის სხვადასხვა კურსი, ღვიძლის, ძვლის ტვინისა და გულის ტრანსპლანტაციებით კი ჯამში გადარჩენილია 98 სიცოცხლე.

- მინდა ყურადღება გავამახვილო დაგეგმილ ღონისძიებებზე.

დაიწყება გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციების თანაგადახდის დაფინანსება, 25 000 ლარამდე გაიზრდება დაფინანსება, დაემატება საკორექციო ორთოპედიული ნაწარმი, ნებისმიერი დონის ორთეზი.

გაორმაგდება საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახების ფინანსური დახმარება, ამოქმედდება ახალი პროგრამა - სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი. ასევე, იწყება მასშტაბური სამედიცინო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. დაგეგმილია №1 პოლიკლინიკის, ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის და ფტიზიო-პულმონოლოგიური დეპარტამენტის შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ეკომიგრანტ ოჯახებს შეეძლებათ პროგრამის ფარგლებში შეისყიდონ საცხოვრებლად ვარგისი ფართი ექსპლუატაციაში არშესულ კორპუსშიც. პირველი ივლისიდან დაგეგმილია თვალის ბადურის მძიმე დაავადებების მკურნალობა ძვირად ღირებული მედიკამენტებით და ამ კუთხით დაგეგმილია პროგრამით მოსარგებლეთა არეალის გაფართოება. დაიწყება ღვიძლის ტრანსპლანტაციის შემდგომი მკურნალობის დაფინანსება ერთი წლის განმავლობაში, - აღნიშნა აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა.

ნინო ნიჟარაძის თქმით, 2014 წლიდან დღემდე აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამედიცინო და სოციალური მიმართულებებით გამოიყო 15 122 590 ლარი, დახმარება გაეწია 5 810-ზე მეტ ოჯახს.

დღის წესრიგის მიხედვით დეპუტატებმა კიდევ სამი საკითხი განიხილეს: აჭარის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“, სხდომის დასასრულს კი დეპუტატების წინაშე საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიშით აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარე გიგა ჩხარტიშვილი წარსდგა.

უკრაინა

უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარმა განაცხადა, რომ უკრაინის თავდაცვის ძალებმა დონეცკის ოლქის სოფელი მაკარიკა რუსი დამპყრობლებისგან გაათავისუფლეს. „დასახლებები ბლახოდატნე და მაკარიკა დეოკუპირებულია“, - განაცხადა მან. მისივე თქმით, ბახმუტის რაიონში უკრაინის ჯარები აგრძელებენ თავდასხმით მოქმედებებს. სამხრეთში, მალიარის ცნობით, უკრაინული ძალები ორ სექტორში 300-დან 1500 მეტრამდე დაწინაურდნენ. „არც ერთი პოზიცია არ დაკარგულა იმ რაიონებში, სადაც ჩვენი ჯარები თავდაცვითია“, - დასძინა მალიარმა. მანამდე გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის თავდაცვის ძალებმა დონეცკის ოლქის სოფლები ბლახოდატნე და ნესკუჩნე დაიბრუნეს.

* * *

უკრაინამ რუსეთის ტყვეობიდან 95 ჯარისკაცი გაათავისუფლა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ტყვეებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო შტაბზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, გათავისუფლებულებს შორის არიან უკრაინის შეიარაღებული ძალების 51 წარმომადგენელი (მათ შორის თავდაცვის ძალების 15 წევრი), ეროვნული გვარდიის 29 წევრი, 11 მესაზღვრე და ოთხი სამხედრო მეზღვაური. მათგან ორი ოფიცერია, დანარჩენები კი რიგითები და სერჟანტები არიან. საკოორდინაციო შტაბში აცხადებენ, რომ შესაძლებელი გახდა დამცველების დაბრუნება, რომლებიც კერძო სამხედრო დაჯგუფება „ვაგნერის“ და ქვედანაყოფ „ახმატის“ ტყვეობაში იმყოფებოდნენ. გათავისუფლებულებს შორის არიან მარიუპოლის (მათ შორის „აზოვსტალის“) და კუნძულ „ზმეინის“ დამცველები, ტყვეები ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურიდან.

* * *

კახოვკის კაშხლის განადგურებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გამოძიება დაიწყო, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. „ბოლო დღეებში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლები ხერსონის ოლქს ეწვივნენ. სტიქიის შემდეგ პირველივე დღეს გენერალურმა პროკურორმა სტიქიის გამოძიების თხოვნით ICC-ის პროკურატურას მიმართა და მუშაობა უკვე დაწყებულია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო მართლმსაჯულების წარმომადგენლებმა საკუთარი თვალით ნახეს რუსეთის ტერორისტული აქტის შედეგები და თავად გაიგეს, რომ რუსული ტერორი გრძელდება და გრძელდება დატბორილი ტერიტორიის, ევაკუაციის ზონის ყველაზე ცინიკური და სასტიკი დაბომბვით“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

უკრაინელი დამცველები დონეცკის ოლქში წინსვლას აგრძელებენ. ოდესის საზღვაო ძალების განცხადებით, კონტრშეტევის ფარგლებში, დონეცკის ოლქის სოფელი სტოროჟევოე გაათავისუფლეს, რომელიც 2022 წლის მარტიდან იყო ოკუპირებული. „დასახლების გაწმენდის შედეგად ორმოცდაათამდე „რაშისტი“ დაიღუპა, ოთხი ტყვედაა აყვანილი. დღეს სახელმწიფო დროშა ისევ ფრიალებს სტოროჟევოეში და ასე იქნება ყველა დასახლებაში, სანამ არ გავათავისუფლებთ მთელ უკრაინულ მიწას“, - ნათქვამია საზღვაო ქვეითების განცხადებაში. დასახლების დეოკუპაცია უკრაინის თავდაცვის სამინისტროშიც დაადასტურეს. მინისტრის მოადგილე ანა მალიარმა მადლობა გადაუხადა საზღვაო ქვეითებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი უკრაინული მიწა გათავისუფლდება.

* * *

კახოვკის კაშხლის განადგურების შედეგად მდინარე დნიპროს მიმდებარე ტერიტორიებზე წყალდიდობის ზონაში წყლის დონე კლებას განაგრძობს, - ამის შესახებ ხერსონის ოლქის გუბერნატორმა ალექსანდრ პროკუდინმა განაცხადა. მისი თქმით, მდინარის უკრაინის მიერ კონტროლირებად დასავლეთ სანაპიროზე წყალი 64 სანტიმეტრით შემცირდა, მაგრამ ამ დროისთვის, დატბორილი რჩება თითქმის 50 დასახლება - 32 უკრაინის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და 14 - რუსეთის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ სანაპიროზე. პროკუდინის თქმით, დნიპროს დასავლეთ სანაპიროზე 3 700-ზე მეტი სახლი დაიტბორა და იმის მიუხედავად, რომ რუსული ძალები საარტილერიო დაბომბვას განაგრძობენ, მოქალაქეების ევაკუაცია გრძელდება. „მდინარის დასავლეთ სანაპიროდან 2700-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 228 ბავშვი გამოიყვანეს“, - აღნიშნა პროკუდინმა. რაც შეეხება რუსეთის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ სანაპიროს, მოსკოვის მიერ დანიშნულმა ხერსონის ოლქის ადმინისტრაციის ე.წ. ხელმძღვანელმა ვლადიმერ სალდომ განაცხადა, რომ დატბორილი ტერიტორიებიდან 7100 ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ხატია ჭყონია: „ბათუმთან“ ერთად ბევრ წარმატებას მივაღწევ

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი დღევანდელი სტუმარი საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრებისა და საფეხბურთო კლუბ „ბათუმის“ ფეხბურთელი ხატია ჭყონიაა. ფეხბურთის მიმართ სიყვარულს ადრეული ბავშვობიდან ავლენდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა გოგონათა გუნდები არ არსებობდა, ბურთის კენწვლით იყო გატაცებული

თავდაპირველად თამაში ქობულეთში ჩამოყალიბებულ ქალთა გუნდში დაიწყო. რამდენადაც საქართველოში ქალთა ჩემპიონატი ჯერ კიდევ არ იმართებოდა, 2009 წელს ის თურქულ კლუბ „ტრაბზონსპორში“ ჩაირიცხა. სლოვენური გუნდის „კრკას“ წინააღმდეგ სადებიუტო მატჩში ხატიამ გოლით გამოიჩინა თავი. მომდევნო სეზონში იგი ტრაპიზონში არსებულ მეორე გუნდში „ტრაბზონ იდმანოჩაღში“ გადავიდა, სადაც ორი წელი დაჰყო. ყველაზე დიდი ხნით ხატია „ყარადენიზში“ თამაშობდა - სამ სეზონში ჩატარებულ 55 თამაშში მან 31 გოლი გაიტანა. 2018 წელს კონტრაქტი ქალთა თურქული ლიგის ყველაზე ტიტულოვან კლუბთან, იზმირის „ქონაქ ბელედიესპორთან“ გააფორმა, რომელმაც 2012-2017 წლებში ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. 2019 წლის ივლისში სამშობლოში დაბრუნდა და საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთს“ შეუერთდა. საერთო ჯამში, თურქეთში ჩატარებულ 168 თამაშში მან 87 გოლი გაიტანა. 2019 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიაზე ხატია ჭყონიამ ქალთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მოიგო. 2020 წლის ოქტომბერში მან ქართული ფეხბურთის რეკორდი დაამყარა - ჩემპიონატის ერთ თამაშში გატანილი 15 გოლით. ამავე წელს ქალთა საფეხბურთო კლუბმა „ლანჩხუთმა“ დიდი სენსაცია მოახდინა, როცა უეფას ქალთა ჩემპიონთა ლიგაზე დებიუტანტის რანგში გამოსვლისას, ორი ეტაპი გადალახა და 32 გუნდს შორის მოხვდა. აღსანიშნავია, რომ კლუბის მიერ ჩატარებულ ოთხ მატჩში ხატია ჭყონიამ სამჯერ აიღო მეტოქეთა კარი, რუმინული „ოლიმპიას“ კარში მის მიერ გატანილი გამარჯვების გოლი კი ფეხბურთის ფედერაციამ წლის საუკეთესო გოლად აღიარა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა აღნიშნული პრიზი გოგონათა გუნდის წევრს მიენიჭა. ჭყონიამ ასევე ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა წლის საუკეთესო ფეხბურთელი ქალის ნომინაციაში. პირველი საერთაშორისო სანაკრებო მატჩი ხატიამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში ითამაშა 2011 წელს, საბერძნეთის წინააღმდეგ. მას 27-ჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა ნაკრების თამაშებში, რომლებშიც 7 გოლი გაიტანა. 34 წლის ვეტერანი თავდამსხმელი ახლა საქართველოში იმყოფება და საფეხბურთო კარიერას ბათუმში აგრძელებს.

- ხატია, როდის დაინტერესდით ფეხბურთით?

- რაც თავი მახსოვს, სულ ბურთზე ვიყავი შეყვარებული. ჩვენი სკოლის უკან მოედანი იყო, სადაც ბიჭებს ავარჯიშებდენ. გოგონების გუნდი არ არსებობდა, მათთან ვვარჯიშობდი. ყოველდღე ვცდილობდი, ბურთი ამეკენწლა, თუ ერთი დღე ოთხს ავკენწლავდი, მეორე დღეს შედეგს ვაუმჯობესებდი. მერე სხვა უბანში გადავედი, სადაც მოედანიც იყო და ბიჭებიც ხშირად თამაშობდნენ ფეხბურთს. ჩემ გარეშე არ იწყებდნენ, სულ მეძახდნენ. მათაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს განვითარებაში. ერთხელ სკოლებს შორის შეჯიბრება ჩატარდა, რომელსაც სპორტსკოლის დირექტორი ზურა კახიძე ესწრებოდა. ეს ადამიანი მაშინ დაინტერესდა ჩემით და ქობულეთში ქალთა გუნდი ჩამოაყალიბა. 10-11 წლის ვიყავი, როცა ბათუმის გუნდში გადავედი, მერე თბილისსა და ბათუმს ჰქონდა შეხვედრა, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა საქართველოს ნაკრები და მეც გამომიძახეს. 13 წლიდან საქართველოს ნაკრების წევრი ვარ. თუმცა, საქართველოში ქალთა ფეხბურთი პროფესიონალურად არ იყო განვითარებული, არ ტარდებოდა ჩემპიონატები, ამიტომ მეგობრის დახმარებით თურქეთში წავედი და ათი წელი იქ ვითამაშე.

- რთული იყო უცხოეთში, ოჯახისგან შორს ცხოვრება?

- თავდაპირველად, შიშიც კი მქონდა - არ ვიცოდი, რა იქნებოდა, რა გადამხდებოდა თავს. 10 წელი ვიყავი მშობლებისგან შორს, ძალიან მიჭირდა. ხანდახან მთელი წელი ისე გავიდოდა, ვერ ჩამოვდიოდი. თითქოს ახლოსაა თურქეთი, მაგრამ დასასვენებლად მხოლოდ ოთხ დღეს გვაძლევდნენ. ამ ოთხ დღეში კი ჩამოსვლას და უკან წასვლას ვერ ვახერხებდი.

- თქვენმა გოლმა ისტორია დაწერა, რამდენად რთული იყო გამარჯვების მოპოვება?

- ისტორიას დავწერთ, როცა ევროპის ჩემპიონატს მოვიგებთ, მაგრამ საქართველოსთვის ესეც დიდი წარმატებაა. მოწინააღმდეგე გუნდი რადიკალურად განსხვავდებოდა ჩვენგან, საკმაოდ ძლიერი იყო, ფინანსური თუ სხვა კუთხით. ჩვენ გვქონდა ბრძოლის ჟინი, რაც, საბედნიეროდ, ქართველებს ყოველთვის გვაქვს. ბოლომდე ვიბრძოლეთ. მეორე ტაიმში სულ სხვა ემოციით გავედით და შედეგიც მივიღეთ. მადლობა ჩემს გუნდს, მწვრთნელებს, გულშემატკივრებს, ყველანი მაქსიმალურად ჩართული იყვნენ ამ ამბავში.

> ***„ჩემი პირველი კლუბი საქართველოში სწორედ „ბათუმი“ იყო. ის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. ერთად ბევრი საინტერესო და კარგი საქმე გავაკეთეთ. ახლაც თითქმის იგივე ფეხბურთელები დამხვდნენ, სტაფიც იგივეა. აქაურობასთან უამრავი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, ძალიან კარგი ადამიანები არიან. გამიხარდა, რომ შევთანხმდით. ვფიქრობ, შედეგიანი ტრანსფერი გააკეთეს და მათ გამოვადგები 2023 წელს***

- გოლი გარდაცვლილ ხუთი წლის დისშვილს მიუძღვენით...

- კი. ძალიან მიყვარდა, ჩვენს სახლში გაიზარდა და განსაკუთრებული გრძნობა მქონდა მის მიმართ. 14 დისშვილი მყავს - შვიდი დედმამიშვილი ვართ, ყველა უზომოდ მიყვარს. მაგრამ... თავისით მოდის ემოცია, ბევრჯერ მიტირია კიდეც მოედანზე. ყველა მნიშვნელოვან თამაშზე მისი სურათით გავდივარ, რომელიც ფორმის ქვეშ, ტოპზე ან მაისურზე მაქვს მიმაგრებული... ძვლის ტვინის გადანერგვა დასჭირდა. ყველაფერი მოვიპოვეთ: დაფინანსება, დონორიც უცებ ვნახეთ, შეთავსებაც მოხდა, იდეალურად მიდიოდა საქმე, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა, ექიმების შეცდომა იყო თუ... სისხლი მოეწამლა, ბოლოს აპარატზე შეაერთეს და ვეღარ გაუძლო...

- როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას, როცა იგებენ, რომ ფეხბურთელი ხართ და ოჯახში რას გეუბნებოდნენ თავიდან?

- პატარა რომ ვიყავი, დედისგან მქონდა წინააღმდეგობა, მეუბნებოდა: გოგო ხარ, გეტკინება, რაღაც დაგიშავდება, დაგიზიანდებაო. მამა კი ყოველთვის მხარს მიჭერდა. მერე დედაც შეეგუა და ფინანსურადაც დამიდგნენ გვერდში. დღემდე ასეა. რაც შეეხება საზოგადოებას, ჯერ იმას ვერ არჩევენ, ბიჭი ვარ თუ გოგო. ფეხბურთელი ვარ-მეთქი, როცა ვამბობ, ვერ წარმოუდგენიათ და კითხვას მიბრუნებენ: აა, ფრენბურთელი? ახლა ორმაგად ბედნიერი ვარ, რადგან მთელმა საქართველომ გაიგო ქალთა ფეხბურთის შესახებ და აღარ დამღლიან კითხვით - „ბიჭები ვერაფერს აკეთებენ და თქვენ რა უნდა ქნათ?“

- ერთ თამაშში 15 გოლი გაიტანეთ, როგორ მოახერხეთ?

- საქართველოს გუნდთან გვქონდა თამაში, დამწყები ბავშვები იყვნენ - 15-17 წლის. მაშინ ბომბარდირობისთვის მჭირდებოდა ბევრი გოლი. მოწინააღმდეგე ბავშვებს ვამხნევებდი, ზოგმა იტირა კიდეც, ამდენი გოლი რომ გავიდა. ამას ძალიან განვიცდიდი, მაგრამ... სხვა გზა არ გვაქვს, ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ.

- ამჟამად ქალთა საფეხბურთო კლუბ „ბათუმში“ თამაშობთ. რატომ აირჩიეთ?

- მინდა გითხრათ, რომ თვითონ ბათუმმა ამირჩია. ჩემი პირველი კლუბი საქართველოში სწორედ „ბათუმი“ იყო. ის პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. ერთად ბევრი საინტერესო და კარგი საქმე გავაკეთეთ. ახლაც თითქმის იგივე ფეხბურთელები დამხვდნენ, სტაფიც იგივეა. აქაურობასთან უამრავი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, ძალიან კარგი ადამიანები არიან. გამიხარდა, რომ შევთანხმდით. ვფიქრობ, შედეგიანი ტრანსფერი გააკეთეს და მათ გამოვადგები 2023 წელს. „ბათუმთან“ ერთად ბევრ წარმატებას მივაღწევ, ამისთვის კი ერთად ვიბრძოლებთ.

- თებერვლის დასაწყისში თურქეთის მიწისძვრას პირადად შეესწარით და იქაურობის დატოვება მოგიხდათ...

- დიახ, ბათუმში ჩამოსვლამდე იქ ვთამაშობდი. რაც შეეხება ჰატაიში მომხდარს, ვცდილობ, რომ ყველაფერი დავივიწყო. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. არ მინდა ტრაგედიის დეტალების გახსენება. კატასტროფა ხდებოდა, 3 დღე კონტაქტზე ვერ გამოვდიოდი, აბსოლუტურად ყველაფერი გათიშული იყო. როდესაც სოციალურ ქსელში შესვლა მოვახერხე, ვნახე, რომ მთელი საქართველო ნერვიულობდა. უამრავი პოსტი დაიდო და უამრავი შეტყობინება მივიღე. ჩემი ოჯახიც კი ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სოციალური ქსელის მეშვეობით იგებდა.

- აპირებთ თურქეთში დაბრუნებას?

- თუ ისევ შეიკრიბება გუნდი, რა თქმა უნდა, დავბრუნდები, ოღონდ სექტემბერში. მანამდეც ვაპირებდი წასვლას, მაგრამ მშობლების თხოვნით და ასევე, მოვლენებიდან გამომდინარე, აღარ წავედი.

„2013 წლამდე წარმოებული ავტომობილების იმპორტის შეზღუდვა ბაზრისთვის ძალიან მტკივნეული არ იქნება...“

ეს სიტყვები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიას ეკუთვნის. მისი განმარტებით, წინა წლის მონაცემებით, ევრო 5 სტანდარტის ავტომობილების იმპორტი სრული ოდენობის 58%-ს შეადგენდა.

როგორც მინისტრმა მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, იმ დროისთვის, როდესაც კანონი ძალაში შევა, 2013 წლამდე წარმოებული ავტომობილები, სულ ცოტა, 11 წლის იქნება, რაც, მისი თქმით, საკმაოდ ძველია, ამიტომ კანონი დიდ გავლენას ქვეყანაში შემოსული ავტომობილების ძირითად ღირებულებაზეც არ მოახდენს.

„ბოლო წლების განმავლობაში, ევრო 5 სტანდარტის ავტომობილების იმპორტი გაცილებით იზრდება, რაც ძალიან კარგია. იმპორტის შეზღუდვა ბაზრისთვის ძალიან მტკივნეული არ იქნება, ვინაიდან, წინა წლის მონაცემებით, ევრო 5 სტანდარტის ავტომობილების იმპორტი 58%-მდე იყო. თუ ავიღებთ ამ წლის ხუთ თვეს, მსგავსი ავტომობილების რიცხვი 65%-მდე გაიზარდა. ბოლო წლების განმავლობაში, მთლიან იმპორტში ევრო 5 ავტომობილების რიცხვი ძალიან იზრდება და ეს მნიშვნელოვანია.

ჩვენ, აუცილებლად, უნდა ვიზრუნოთ ეკოლოგიასა და გარემოზე, ეს მნიშვნელოვანია. ამის გამო ვახსენე, რომ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობას ეს სტანდარტი მიღებული აქვს. 2024 წლისთვის 2013 წლის ავტომობილები 11 წლამდე იქნება და იქიდან გამომდინარე, რომ ამ ასაკის მანქანა უკვე საკმაოდ ძველია, ვფიქრობთ, რომ ქვეყანაში შემოსული ავტომობილების ძირითად ღირებულებაზეც დიდ გავლენას არ მოახდენს“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ამირან გურიელიძე

ფურტიოს სკოლა საუკუნოვანი იუბილესთვის ემზადება

შუახევის რაიონის ტერიტორიაზე ქართული სკოლა ერთდროულად რამდენიმე სოფელში აღდგა. მედრესეების ქართული სკოლებით ჩანაცვლებას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1923 წლის შემოდგომა ღირსსახსოვარ თარიღად რჩება სოფელ ფურტიოსთვის. სოფლის, სკოლის წარსულსა და დღევანდელობაზე ფურტიოს საჯარო სკოლის დირექტორი ნაზი ქამადაძე გვესაუბრება

- 1897 წლის აგვისტო ოსმალთა ტყვეობისგან გამოხსნილი ფურტიოსთვის გამორჩეული თარიღია. აქაური იუნუს ბერიძე ცნობილ ეთნოგრაფს, მწერალს, ქართული სიტყვის მეხოტბე თედო სახოკიას სოფელში შემოუძღვა და ოჯახში მიიპატიჟა. ფურტიოელები, იუნუს ბერიძის შთამომავლები დღესაც ელოლიავებიან იმ ლაზური სტილით აგებულ სახლს, სადაც თედომ ღამე გაათია. თავის წიგნში «მოგზაურობანი» ისე ნათლად, ამომწურავად აღწერა ფურტიოს მაშინდელი მდგომარეობა, რომ ზოგიერთ მკვლევარს დღესაც გაუჭირდება რეალური სურათის ასე წარმოჩენა. ეთნოგრაფი და მოგზაური აჭარის მთიანეთში ერთ ექიმს, მეცნიერს, განსწავლულ პიროვნებას ნატრულობდა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ იუნუსის შვილი ლევანი 11 შვილის მამა გახდებოდა და მისი შთამომავლები მეცნიერების, საზოგადოებრივ სარბიელზე ღირსეულ სახელს დატოვებდნენ. ყველაფერი ეს კი იმ საგანმანათლებლო კერის დამსახურება იყო, რომელიც თედო სახოკიას ჩვენს სოფელში სტუმრობიდან 25 წლის შემდეგ აღდგა. ჩემთვის და განა მარტო ჩემთვის, ყველა წინამორბედი დირექტორისთვის დიდი პატივია იმ საგანმანათლებლო კერის ხელმძღვანელობა, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საშუალო სკოლის სტატუსით მოქმედებდა და სათავეში ლევან ბერიძე ედგა. საქართველოში გვაქვს წოდება - «ხელოვნების ქურუმი». გადაჭარბებული ნამდვილად არ იქნება, რომ ლევან ბერიძეს «განათლების ქურუმი» ვუწოდოთ. ის წლების განმავლობაში შუახევის რაიონის განათლების განყოფილების გამგე იყო. სიტყვისა და საქმის ერთგულ, ეროვნული სულისკვეთების პიროვნებას ახლო, მეგობრული, კოლეგიალური ურთიერთობები ჰქონდა ქვეყნის მაშინდელი უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან, აჭარის მაშინდელ ლიდერ დავით მამულაძესთან. მათი რეკომენდაციით, აჭარის მთიანეთიდან ნიჭიერი ჭაბუკები და ქალიშვილები უმაღლეს განათლებას ღებულობდნენ და მშობლიურ კუთხეს ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების სპეციალისტებად უბრუნდებოდნენ. მეც ვიყავი იმ ინიციატივის მონაწილე, რომ სკოლას ლევან ბერიძის სახელი მიკუთვნებოდა. წარსულში რაც კარგი, ეროვნული, საზოგადოებისთვის სასარგებლო და მისაღები იყო, აწმყოშიც უნდა ვაცოცხლოთ, მომავალ თაობებს შემოვუნახოთ. ლევან ბერიძის საქმე და სახელი ყოველთვის და ყველა დროში დასაფასებელია.

- საუკუნოვანი გზა მარტო ერთი პიროვნების ღვაწლით არ განისაზღვრება...

- გეთანხმებით. სკოლის სახელი ჩვენამდე თაობებმა მოიტანეს. გამორჩეულად დასაფასებელია იმ პედაგოგების ღვაწლი, რომლებიც ქვეყნის ცალკეული კუთხეებიდან იყვნენ მოვლინებულნი და საკუთარი წვლილი შეიტანეს ფურტიოელთა შვილების აღზრდაში. საიუბილეო სამზადისს უკვე ვიწყებთ. ვაზუსტებ იმ პედაგოგთა გვარ-სახელებს, რომლებმაც კერძო სახლში აღდგენილი სკოლიდან დაიწყეს საქმიანობა. მათი რაოდენობა 200-ს უახლოვდება. სკოლას სათავეში ქალებიც ედგნენ. უკვე წუთისოფელში აღარაა მარი არძენაძე-დიასამიძე, ინგა ბოლქვაძე კი ახლაც სერიოზულ ადგილზე ტოვებენ ფეხს. ეს ადამიანები ტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსით მუშაობს და წარმატებული პედაგოგის სახელი აქვს. სხვადასხვა წელს, სკოლის დირექტორები მოვლინებული პედაგოგებიც იყვნენ და ადგილობრივებიც. რამდენიმე წლის განმავლობაში სკოლას ლევან ბერიძის ვაჟიც ხელმძღვანელობდა.

- აჭარის მთიანეთში იშვიათია სკოლა, რომელსაც ფურტიოს საჯარო სკოლის სადარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს.

- ფურტიო მარტო შუახევში კი არა, აჭარის მთიანეთში კვლავ რჩება მრავალკომლიან დასახლებად. მოსწავლეთა კონტინგენტსაც არ ვუჩივით. წელს სკოლას 16 კურსდამთავრებული ჰყავს. ახალ სასწავლო წელს ათზე მეტ პირველკლასელს მივიღებთ, რაც მოქმედ საჯარო სკოლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. დახურული სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, კვალიფიციური პედაგოგიური კადრები ყველა პირობას ქმნის, რომ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, კლასგარეშე მუშაობა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესაბამისად წარიმართოს. 3 ათეულ წელზე მეტია ამ სკოლაში ვმუშაობ. კარგად მახსოვს ძველი შენობა, რომლის იატაკი ერთხელ კიდეც ჩაინგრა და მოსწავლეები დაზიანებას ბედად გადაურჩნენ. 21-ე საუკუნის დასაწყისში ხის ძველი შენობა ახლით შეცვალეს, თუმცა იგი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, 2019 წლიდან ახალ შენობაში ვართ. პედაგოგები აქტიურად მუშაობენ. მარტო მიმდინარე სასწავლო წელს სხვადასხვა სახის 32 ღონისძიება გაიმართა, რომელიც მოსწავლეთა ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ზოგადი უნარების გამომუშავებას, მეგობრობას, ეთიკისა და ესთეტიკის ნორმების დაცვას, ქვეყნისა და კუთხის ადათ-წესების პატივისცემას ეძღვნებოდა. საზოგადოების მოწონება დაიმსახურა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ფატი მახარაძის ინიციატივით ჩატარებულმა მხატვრულ- ლიტერატურულმა კომპოზიციამ «სიმღერა-ლექსი სამშობლო!». ნორმალური მატერიალური ბაზა გახდა იმ მიღწევების წინაპირობა, რაც სპორტის მიმართულებით გვაქვს. ჭიდაობის სექციასთან ერთად, რაგბის სექციაც შეიქმნა.

- ფურტიოელები რაიონში რაგბის პიონერებად ითვლებოდნენ...

- არიან ადამიანები, რომლებიც გამორჩეულ სახელს ტოვებენ სოფლის, კუთხის ისტორიაში. ფურტიოელები, აქაური რაგბის მოყვარულები ამაგს არ ვუკარგავთ ქუთაისელ, ქართული რაგბის პიონერ რამაზ სვანიძეს. იგი სოფლის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ზაურ ხიმშიაშვილმა ჩამოიყვანა ფურტიოში. სოფლისა და სკოლის ახალგაზრდობის ბაზაზე გოგონათა გუნდიც კი ჩამოაყალიბა. ფურტიოელებს გვაქვს საამაყო, რომ აჭარის მთიანეთში სპორტის ამ სახეობამ ფეხი პირველად ჩვენთან მოიკიდა. შუახევში რაგბის ფესტივალებიც ტარდებოდა. ამან განაპირობა, რომ სოფელში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი რაგბის სტადიონის მშენებლობა წამოგვეწყო. მართალია, მისი მშენებლობა დროში გაიწელა, მაგრამ ახლა გარკვეული წინსვლაა - სოფელში რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელები ჩამოვიდნენ და იმედი მოგვცეს, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები მალე დაიწყება.

- სოფლები ახალგაზრდებისგან ცარიელდება და... რამდენად შესაძლებელია ფურტიოში გუნდის შექმნა?

- როცა ნორმალური მატერიალური ბაზა იქნება, გუნდიც შეიკვრება.

- სკოლის საუკუნოვან იუბილეს რა ფორმით აღნიშნავთ?

- თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, იმ პედაგოგების შთამომავლების მოწვევას ვაპირებთ, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდების სწავლა-აღზრდაში. ზურაბ, ეთერ, ამირან ბერიძეების, ბეგლარ მახარაძის, აქაური მელიქიშვილების, ხილაძეების სახით გვყავს სახელოვანი თანასოფლელები. საიუბილეო სამზადისში მათ ჩართვასაც ვაპირებთ.

- სასკოლო რეფორმა სკოლის ხელმძღვანელს, თითოეულ პედაგოგს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს. რა გეგმები გაქვთ?

- პირველ რიგში, მნიშვნელობას პროფესიულ დაოსტატებას ვანიჭებთ. პედაგოგები მაქსიმალურად არიან ჩართულნი ცალკეულ პროგრამებში, მოქმედებს სასკოლო და დებატ-კლუბები. მასწავლებლები მონაწილეობენ სწავლებებში. უფროსი მასწავლებლების აქტიურობა საფუძველს იძლევა, რომ სკოლაში მენტორი მასწავლებელი გვეყოლება. პედაგოგის საქმიანობის ბარომეტრი ისევ და ისევ, კურსდამთავრებულთა მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგებია. ამ მხრივაც ცუდი სტატისტიკა არ გვაქვს.

- სკოლის დირექტორი პოლიტიკურ ასპარეზზეც ჩნდებით...

- ეს ამბიციურობაში არ ჩამითვალოთ. როცა მმართველი პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელობის მთელი ძალისხმევა სოფლის წინსვლისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისკენაა მიმართული, ამ საქმეში ყველა უნდა იყოს ჩართული. ფურტიოს სკოლის შექმნაზე უკვე გითხარით. ამას ემატება თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ბაგა-ბაღი, «სოფლის სახლი». ერთ დროს გაუქმებული სასოფლო ბიბლიოთეკაც აღადგინეს. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურშია პირველადი ჯანდაცვის ცენტრი და ყველა ემადლიერება ექიმ პავლე მჟავანაძეს. სოფლის ცენტრამდე გზა მოასფალტებულია, ბეტონის საფარი დაიგო უბნებში მისასვლელ გზებზე. ბოლო წლებში ორი არქეოლოგიური ექსპედიცია მოეწყო ფურტიოში არსებული ისტორიული ძეგლების შესასწავლად. გათხრების შედეგად უნიკალური ექსპონატები და არტეფაქტები აღმოაჩინეს. «თამარობის» დღესასწაული წამოვიწყეთ, და წყაროც გაკეთდა... ამ ფონზე, შეუძლებელია შენც არ იაქტიურო. იყო შემოთავაზება, რომ «ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს» პროპორციული სიით შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად მეყარა კენჭი...

- სოფელში სკოლის დირექტორს, პედაგოგს განსაკუთრებულ პატივს სცემენ...

- მოსახლეობის, მშობლების თანადგომა მართლაც არ გვაკლია. ჩვენც ვცდილობთ, მინდობილი საქმე პასუხისმგებლობით ვაკეთოთ. ის, ვინც დღეს სასკოლო მერხებს უზის, ჩვენი მომავალია. სკოლიდან გაყოლილი ცოდნა, ერისა და ქვეყნის სიყვარული უნდა იყოს მათი გზამკვლევი.

სტუმრად – ქვეით ბრიგადაში

ქართული ჯარი უკვე მნიშვნელოვან სტრუქტურად ჩამოყალიბდა. ჯარისკაცური საქმიანობის გაცნობის მიზნით, შუახევის მუნიციპალიტეტის ჭალის, ახალდაბის, ხიჭაურის, ოლადაურის, ბუთურაულის, ფურტიოს საჯარო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები სტუმრად იმყოფებოდნენ თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-2 ქვეით ბრიგადაში, სადაც ღია კარის დღე მოეწყო

მოსწავლეები და პედაგოგები, ღონისძიების ფარგლებში, სხვადასხვა შემეცნებით აქტივობაში ჩაერთნენ, გაეცნენ მე-2 ქვეითი ბრიგადის ისტორიას, რომელიც საფუძვლიანად და პატრიოტული სულისკვეთებით წარმოადგინა მაიორმა როინ მაკარაძემ.

მოსწავლეებმა გვირგვინით შეამკეს ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა მემორიალი, განსაკუთრებული ემოციით გაიხსენეს შინდისის გმირები,

დაათვალიერეს ბრიგადის შენობა-ნაგებობები, სპორტული კომპლექსი.

მოსწავლეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა შეიარაღებისა და ტექნიკის გაცნობამ, ჩასხდნენ საბრძოლო ჯავშანტექნიკაში, ისადილეს მე-2 ქვეითი ბრიგადის სასადილოში.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კადეტების მიერ წარმოდგენილმა ღონისძიებამ. აღინიშნა, რომ ლიცეუმის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, 50 პროცენტი იღებს სახელმწიფო გრანტს 100, 70 და 50-პროცენტიანი დაფინანსებით. რამდენიმე მოსწავლემ იქვე გამოთქვა ლიცეუმში სწავლის გაგრძელების სურვილი.

- შუახევის რესურსცენტრის სახელით მადლობას ვუხდი თავდაცვის ძალებს ამ შესაძლებლობისთვის, განსაკუთრებული მადლობა მე-2 ქვეითი ბრიგადის ხელმძღვანელობას, ბრიგადის მეთაურს, პოლკოვნიკ ირაკლი ჭითანავას და ბრიგადის მეთაურის მოადგილეს, ვიცე-პოლკოვნიკ დავით ბოლქვაძეს გულთბილი მასპინძლობისთვის. პროექტი გაგრძელდება სექტემბრიდან და სხვა სკოლებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამჯერად ჩვენი მეგზური და ხელმძღვანელი შუახეველი, სოფელ ოლადაურის მკვიდრი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი როინ მაკარაძე იყო, რომელმაც გაგვაოცა თავისი განსწავლულობით, პატრიოტიზმითა და შემართებით. მან სტუმრებს საკუთარი ლექსების კრებული უსახსოვრა, - გვითხრა შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„ბედნიერებაა, როცა შენი შრომის შედეგს ხედავ“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სსიპ „შუახევის მუნიციპალიტეტის ახალდაბის საჯარო სკოლის“ ინგლისური ენის მასწავლებელი, შუახევის რესურსცენტრის ინიციატივით დაარსებული ინგლისური ენის შემსწავლელთა კლუბის ხელმძღვანელი ***ხათუნა შარტენაძე*** *ამ მუნიციპალიტეტში რიგით მეხუთე მენტორი მასწავლებელი გახდა.*

- ქალბატონო ხათუნა, მენტორი მასწავლებლის წოდება რომ მოგანიჭეს, როგორი იყო თქვენი ემოცია და რამდენად ელოდით ამ აღიარებას?

- სასკოლო რეფორმა ყველა პედაგოგს ავალდებულებს, ცოდნის დონე აიმაღლოს, შესაბამისად, სტატუსის მოსაპოვებლად იმუშაოს. გულხელდაკრეფილი არც მე ვარ. სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა, მენტორის სტატუსის მოსაპოვებლადაც დავიჭირე თადარიგი, თუმცა ასე მალე თუ მოვიპოვებდი, ვერ წარმოვიდგენდი. მენტორის წოდება ენერგიას მმატებს, მოტივაციას მიმაღლებს. სასიხარულოა, სამინისტროს, რესურსცენტრის ხელმძღვანელობა, სკოლის დირექტორი და პედაგოგიური კოლექტივი შენს შრომას რომ ხედავს, აფასებს, წარგადგენს. შესაბამისად, მოლოდინიც მქონდა.

- კლუბის ერთწლიან საქმიანობაზე რას გვეტყვით?

- პირველ რიგში, მადლობა შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელებს კლუბის ფინანსური მხარდაჭერისთვის, ხოლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობას - იდეის წარმოჩენასა და განხორციელებაში. კლუბის ერთწლიანი მუშაობის პერიოდი უაღრესად ნაყოფიერი და შედეგიანი აღმოჩნდა. მონაწილეებმა წაიკითხეს და დაამუშავეს ათეულობით ინგლისურენოვანი მხატვრული ლიტერატურა, შესაბამის ლიტერატურულ ნაწარმოებზე გადაღებულ ინგლისურენოვან ფილმებს უყურებდნენ, მსჯელობდნენ, აანალიზებდნენ მხატვრულ ნაწარმოებში მოცემულ თემატიკასა და პრობლემას, აკავშირებდნენ თანამედროვეობასთან და სახავდნენ პრობლემის მოგვარების გზებს, ირგებდნენ პერსონაჟის როლს, მსჯელობდნენ ავტორის პოზიციიდან, მართავდნენ დებატებს, აწყობდნენ წარდგინებებს, დაწერეს ესეები, აკროსტიქული პოემა პერსონაჟზე. ყოველი შეხვედრა იყო მრავალფეროვანი, საინტერესო და შემოქმედებითი. აქტიურად ვიყენებდით ონლაინთამაშებს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციას. კლუბში მოსწავლეებმა შეძლეს საუბრის დროს ენობრივი ბარიერის გადალახვა, მოიხსნეს კომპლექსები, გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი, გაიუმჯობესეს მოსმენისა და საკომუნიკაციო უნარები, განუვითარდათ კრიტიკულად აზროვნების უნარი.

- ინგლისური ენის მასწავლებლად ახალდაბის საჯარო სკოლაში როგორ აღმოჩნდით?

- 2012 წელს მონაწილეობა მივიღე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ქვეპროგრამაში „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის“ და მის ფარგლებში, იმავე წლიდან ვასწავლი ახალდაბის საჯარო სკოლაში. აქვე ვიტყვი, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მთიანი აჭარის საჯარო სკოლებში დეფიციტურ საგნებში ვაკანსიების შევსებას, მოსწავლეებს აძლევს სრულყოფილი განათლების მიღების შესაძლებლობას. პროგრამა მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ წინსვლასა და განვითარებაზე. მისი მეშვეობით გავიარე ძალიან ნაყოფიერი, საგნობრივი და პროფესიული უნარების ტრენინგები, რაც დამეხმარა პროფესიულ განვითარებაში. პროგრამა მაძლევს საშუალებას, ვაკეთო ჩემი საყვარელი საქმე - ვიზრუნო მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებაზე.

- ახალდაბის სკოლაში სხვა კლუბებიც ფუნქციონირებს. ერთმანეთს როგორ ეწყობით?

- ახალდაბის საჯარო სკოლა არაფორმალური განათლების კუთხით გამორჩეულია.

რამდენიმე კლუბი მუშაობს სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით. სკოლაში მაღალია თანამშრომლობითი კულტურა, რაც უდავოდ, სკოლის დირექტორის თემურ დავითაძის ძალიან დიდი დამსახურებაა. მასწავლებლები მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზიარებენ პედაგოგიურ გამოცდილებას, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს, აიმაღლოს პროფესიული ცოდნა და საკუთარი წვლილი შეიტანოს სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. 2012 წელს ახალდაბის საჯარო სკოლაში რომ დავიწყე მუშაობა, მხოლოდ ფრანგულ ენაში ვიყავი სერტიფიცირებული პედაგოგი, იმავე წელს გავიარე სერტიფიცირება ინგლისურ ენაში და გავხდი უფროსი მასწავლებელი. განათლების სამინისტროს პროექტის უდიდესი დამსახურებაა, რომ სოფლებში გზავნის კვალიფიციურ პედაგოგიურ კადრებს. ამ პროგრამის დამსახურებით ჩამოვყალიბდი პედაგოგად, სკოლის ხელმძღვანელის და კოლეგების დამსახურებაა, რომ შემდგომ გავხდი წამყვანი და მენტორი მასწავლებელი.

- რამდენად ითვისებენ აქაური მოსწავლეები უცხო ენას?

- კარგად ითვისებენ. ძალიან მონდომებულები არიან, სკოლაში ყველა საშუალება გვაქვს იმისათვის, რომ სასწავლო- აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზე წარიმართოს. საკლასო ოთახები აღჭურვილია კომპიუტერით და სხვა საჭირო ტექნიკით, არის ყველა რესურსი საგაკვეთილო პროცესის მრავალფეროვნად და საინტერესოდ წარმართვისათვის. სოფლის სკოლები მცირეკონტინგენტიანია, კლასში, ძირითადად, 5-6 მოსწავლეა, ამიტომ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად ვმუშაობთ, ისინი ჩართული არიან ყველა აქტივობაში, რაც ამარტივებს სასწავლო პროცესს. შედეგად, მოსწავლეები საკმაოდ მაღალი ქულებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს უცხო ენაში და არ სჭირდებათ რეპეტიტორთან სიარული.

- კლუბში საქმიანობის გარდა, კლასგარეშე მუშაობის რა ფორმებით ხართ დაკავებული?

- სკოლაში ვხელმძღვანელობ ინგლისური ენის კლუბს, მუდმივად ვატარებ დამატებით მეცადინეობებს მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ვახორციელებ სოციალურ პროექტებს, ვმონაწილეობ მასწავლებელთა კონფერენციებში, ვხელმძღვანელობ მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებს. 2017 წლიდან შუახევის რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ საგნობრივ ოლიმპიადას ვხელმძღვანელობ ინგლისურ ენაში, რომელიც ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში ტარდება. სამომავლოდ ვგეგმავთ, კლუბის მუშაობაში ჩავრთოთ უცხოელი მწერალი ან საზოგადო მოღვაწე.

- ყველაზე მეტად რომელმა ნაწარმოებმა დაიმსახურა კლუბის წევრების მოწონება?

- ყველა ნაწარმოები, რომელიც კლუბში განვიხილეთ, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მონაწილეებისთვის, დიდი ხალისით ერთვებოდნენ დაგეგმილ აქტივობებში. თუმცა, რამდენიმე ნაწარმოები განსაკუთრებულად მოეწონათ. გამოარჩიეს რამდენიმე წიგნი: შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“, ანა ფრანკის „ანა ფრანკის დღიური“, ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“, ჩარლზ დიკენსის „საშობაო სიმღერა“ და „დიდი მოლოდინები“.

- პედაგოგის სპეციალობა საკუთარი სურვილით აირჩიეთ?

- მოსწავლეობისას გადავწყვიტე, რომ მასწავლებლობა იქნებოდა ჩემი მომავალი პროფესია. ბედნიერი ვარ, რომ იმ საქმეს ვაკეთებ, რაც ძალიან მიყვარს და ეს არჩევანი ერთხელაც არ მინანია.

- უცხო ენის მასწავლებელი მშობლიურ ენას რა როლს ანიჭებთ?

- ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მშობლიური ენაა, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, რომელიც გამორჩეულია მსოფლიო ენებს შორის უნიკალური დამწერლობით, გრამატიკული სტრუქტურების მრავალფეროვნებით... მოვიშველიებ ქართველ პოეტ ლადო ასათიანს: ეს არის „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“.

- კლუბის წევრები უცხო ენაზე წერენ ესეებს, ჩანახატებს... საკუთარ შემოქმედებაზე რას გვეტყვით?

- ჩემი შემოქმედება ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობაა. უნდა აღვზარდო ისეთი თაობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის, აღმავლობის და განვითარების გარანტი იქნება.

- ორ უცხო ენას ფლობთ, რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

- უცხო ენების შესწავლით ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული, ორივე უცხო ენასთან - როგორც ფრანგულთან, ასევე, ინგლისურთან, მაქვს ღრმა ემოციური კავშირი, ორივე ძალიან მიყვარს. მინდა იტალიური ენის შესწავლა და იმედია, მოვახერხებ.

- პირადი ავტორობით წიგნის გამოცემა თუ გიფიქრიათ?

- დიახ, მაგრამ ეს ჯერჯერობით შორეული პერსპექტივაა.

- რას ურჩევდით მათ, ვინც ახლა ეუფლება მასწავლებლის პროფესიას?

- მთავარია, გიყვარდეს საქმე, რომელსაც აკეთებ, არ შეუშინდე გამოწვევებს, მუდმივად იყო ძიებისა და განვითარების პროცესში და, რაც მთავარია, მოსწავლე გიყვარდეს უპირობოდ.

- მეგობრებთან ურთიერთობაში უპირველეს მოვალეობად რას მიიჩნევთ?

- მეგობრებს ჩვენ ვირჩევთ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ისინი არიან ადამიანები, ვისაც ვენდობით, პატივს ვცემთ, გვიყვარს. მეგობრებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ნდობა, გულწრფელობა, ერთგულება და თანადგომა. ჩემთვის დიდი კომფორტია, როდესაც ვიცი, რომ ნებისმიერ სიტუაციაში შემიძლია მეგობრის იმედი მქონდეს, მათ კი ჩემი.

- როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

- თავისუფალ დროს საყვარელ ადამიანებთან და მეგობრებთან ერთად ვატარებ, ასევე, ვკითხულობ, ვეცნობი თანამედროვე მწერლების შემოქმედებას, ვუყურებ საინტერესო ფილმებს.

- დოქტორანტურაში სწავლას უცხოეთში ხომ არ აპირებთ?

- უცხოეთში სწავლა ყოველთვის მინდოდა, თუ ეს შესაძლებლობა მომეცემა, აუცილებლად გავაგრძელებ სწავლას.

- დაბოლოს, როდის ხართ გახარებული?

- ყველაზე მეტად მოსწავლეთა წარმატებები და მათი მიღწევები მახარებს. ბედნიერებაა, როცა შენი შრომის შედეგს ხედავ.

„კატალიზატორების“ ექსპორტი აიკრძალება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, რომ მთავრობა გამოსცემს დადგენილებას, რომლითაც „კატალიზატორების“ ექსპორტი აიკრძალება..

„6 წელია, უკვე საწვავზე მაქსიმალურად დიდ კონტროლს ვაწარმოებთ. ხარისხი მოწმდება სისტემატურად, ასევე გეტყვით, რომ სხვა კომპლექსური ღონისძიებებიც დავგეგმეთ. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ერთგვარ ბიზნესადაა გადაქცეული ეგრეთ წოდებული კატალიზატორების საკითხი. ამის თაობაზე საკითხი შევისწავლეთ და ვთქვით, რომ აუცილებელია კატალიზატორების ექსპორტის შეჩერება, ამიტომ ცალკე დადგენილებას გამოვცემთ და აიკრძალება კატალიზატორების ქვეყნიდან გატანა. სამწუხარო რეალობაა, რომ ავტომობილებს აცლიან ამ დეტალს - კატალიზატორს და უცხოეთში ყიდიან. ეს არის პრობლემის მთავარი გამომწვევი. ვფიქრობ, შედეგი ძალიან მალე გვექნება, ჰაერის ხარისხი გაუმჯობესდება მას შემდეგ, რაც ამ სტანდარტს შემოვიღებთ. პარალელურად გარემოს ეროვნული სააგენტო დაიწყებს ჰაერის ხარისხის შემოწმებას, ასევე ავტომობილების. ჩვენ მიმდინარე წლიდან თბილისში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში დავიწყებთ ხილული, ჭარბი გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების გზებზე კონტროლს სპეციალური აპარატურის საშუალებით“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ცნობისთვის: შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, 2015 წლიდან მოყოლებული 2023 წლის აპრილის ჩათვლით პერიოდში, საქართველოდან ექსპორტზე 97 776 545 აშშ დოლარის ღირებულების 701 440 კატალიზატორი გავიდა. საანგარიშო პერიოდში ექსპორტი ჯამში 37 ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა განახორციელა.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/06/23, 20 55 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულები დასახელდნენ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

5-დან 11 ივნისის ჩათვლით, ბათუმი მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობდა სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში 8, 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელიც მსოფლიო ჭადრაკის (ფიდეს), საქართველოსა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციების ორგანიზებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტის, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, რეგიონის სრული მხარდაჭერით ჩატარდა

ღონისძიებაში 35 ქვეყნის 459 სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოდან, როგორც მასპინძელი ქვეყნიდან, 120-მა მოჭადრაკემ იასპარეზა, აქედან 22 აჭარის წარმომადგენელი იყო.

6 ივნისს ჩემპიონატი გაიხსნა, ხოლო 11-ში დახურვის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ამავე დღეს გამარჯვებულები და საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები დააჯილდოვეს.

დახურვის ცერემონიას ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, მსოფლიოსა და ევროპის საჭადრაკო ფედერაციების, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლები, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, აჭარის სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირმა ნიჟარაძე, აჭარის

უმაღლესი საბჭოსა და ბათუმის საკრებულოს დეპუტატები ესწრებოდნენ.

სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში, ასევე კომპოზიციების ამოხსნაში სხვადასხვა სინჯის მედალი ათეულობით მოჭადრაკემ დაისაკუთრა. გაიმართა ქართველი და უკრაინელი ჩემპიონი მოჭადრაკეების მეგობრული მატჩი, რომელიც ყაიმით დასრულდა.

საქართველოს მონაგარი ასეთია: 14 წლამდე გოგონათა შორის სწრაფ ჭადრაკში 11-დან 9,5 ქულით ანასტასია კირთაძე ოქროს მედლის მფლობელი გახდა, ხოლო ელვისებურ ჭადრაკში მანვე 11-დან 8,5 ქულით ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

18 წლამდე გოგონათა შორის 11-დან 7 ქულა დააგროვა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა დიანა ლომაია.

ელვისებურ ჭადრაკში 10 წლამდე გოგონათა შორის 11-დან 8 ქულით ბარბარე ჭიოკაძემ მეორე ადგილი დაისაკუთრა.

წარმატებული იყო ბათუმელი კესარია მგელაძის გამოსვლა, მან 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს შორის ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მანვე პირველი ადგილი აიღო კომპოზიციების (ეტიუდების) ამოხსნაში.

- მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჩემს ქვეყანაში და, მით უმეტეს, ჩემს ქალაქში მოვიპოვე მედალი. მეგონა, უკეთეს შედეგს მივაღწევდი სწრაფ ჭადრაკში, თუმცა ელვისებურში შევძელი და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, ეტიუდების ამოხსნაში კი პირველი ადგილი დავისაკუთრე, - გვითხრა კესარია მგელაძემ.

- ჩემთვისაც ერთ-ერთი საუკეთესო დღეა - პირველად მსოფლიო ჩემპიონობა ჩემს ქვეყანაში მოვიპოვე და აქვე აუღერდა ჩემი სამშობლოს ჰიმნი... მეორე ადგილი ავიღე ელვისებურში, თუმცა, რა თქმა უნდა, შედეგით უკმაყოფილო არ ვარ, - თქვა ანასტასია კირთაძემ.

- საქართველოს რამდენიმე გამარჯვებული ჰყავს. დიდი მადლობა ჩემპიონთა ტურნირში მონაწილე თითოეულ მოჭადრაკეს. ეს იყო ბავშვების მიმართ გამოხატული მხარდაჭერა. სპორტის გამორჩეული თვისებაა ხალხთა შორის ურთიერთობებისა და მეგობრობის კიდევ უფრო გაღრმავება, - აღნიშნა ბადრი ნაკაშიძემ.

- ბათუმმა კიდევ ერთხელ უმასპინძლა ძალიან მნიშვნელოვან საჭადრაკო ჩემპიონატს, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ორგანიზატორს, თითოეულ მონაწილეს, მივულოცო გამარჯვებულებს. სასიხარულო ფაქტია, რომ მსოფლიო საჭადრაკო რუკაზე ბათუმი, ისევე, როგორც წინა წლებში, წარმოჩნდა როგორც წარმატებული სპორტუ-

ლი, ევროპული ქალაქი. მინდა ვუსურვო წარმატებები ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს შესანიშნავი ღონისძიება, სპორტული დღესასწაული მოუწყო ჭადრაკის მოყვარულებს, - გვითხრა არჩილ ჩიქოვანმა.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა აკაკი იაშვილმა მადლობის სიგელები გადასცა ყველას, ვინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზება-ჩატარებაში.

„მთავარია, ბავშვივით ალალი იყო“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ლექსების ყველაზე წრფელი და სამართლიანი შემფასებლები ბავშვები არიან, მათი გულის მოგება მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს შეუძლია, პოეტს, რომელიც ბავშვის თვალითა და გულით აღიქვამს სამყაროს და სიკეთეს, სიყვარულს თესავს

სწორედ ასეთი თვისებებით გამოირჩევა საბავშვო პოეტი ***ფიქრია ჩხიტუნიძე,*** *რომელთან შეხვედრასაც ასობით ბავშვი პოეზიის ზეიმად აღიქვამს. არაერთ საჯარო სკოლაში მიიწვიეს ქალბატონი ფიქრია და მოსწავლეებმა მის ლექსებსა და ზღაპრებზე შექმნილი მხატვრული მონოსპექტაკლი დაუვიწყარ სანახაობად აქციეს.*

- ქალბატონო ფიქრია, ამ შეხვედრების მნიშვნელობა და გავლენა თქვენს შემოქმედებაზე...

- სკოლებში მიწვევა და ბავშვებთან შეხვედრა განსაკუთრებულად მიხარია - ვხვდები, რომ ჩემი სიტყვა ადრესატამდე მივიდა. ცოცხალი ურთიერთობისას, დიალოგის რეჟიმში უფრო ახლოს ვეცნობი ბავშვთა სამყაროს, რაც უთუოდ მეხმარება სამომავლო საქმიანობაში.

- როცა თქვენს ლექსებზე იწერება მუსიკა და მღერიან...

- გული მიჩუყდება, სიამაყე და მადლიერება მიპყრობს...

- დღეს საქართველოში ბევრი პოეტია, მაგრამ საბავშვო - თითზე ჩამოსათვლელი. წერო ბავშვებისთვის, პოეტურ ნიჭთან ერთად, კიდევ რას მოითხოვს?

- ძალიან უნდა გიყვარდეს ისინი, აუცილებლად ბავშვის თვალით უყურებდე სამყაროს, მათსავით ფიქრობდე და აზროვნებდე და, რაც მთავარია, იყო ბავშვივით ალალი.

- თქვენი ლექსების თემატიკა და იდეა ინტერესს იწვევს - ცხოველთა მრავალფეროვან სამყაროში ამოგზაურებთ ბავშვებს, ეზოპეს ენას იმარჯვებთ. როგორია პატარა მკითხველების ემოციები, როცა გისმენენ?

- თქვენ ის უნდა იკითხოთ, როგორია ჩემი ემოციები, როცა მათ ვუსმენ. სხეულში ვერ ვეტევი. საოცარი განცდაა! ბავშვობაში ჩემს უმცროს ძმებს ვუყვებოდი ზღაპრებს, რომლებიც პირდაპირ თხრობისას იქმნებოდა. ძალიან მოსწონდათ და გულისყურით მისმენდნენ. ჯერ შვილების, შემდეგ შვილიშვილის დაბადებამ მეტი ბიძგი მომცა საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელად. ეზოპეს ენას მოგვიანებით მივმართე, როცა საკმარისზე მეტად ვიწვნიე ავი. ირიბად ნასროლი ისარი პირდაპირ ჭრისო, ამბობდა კონსტანტინე გამსახურდია. არასოდეს ვწუწუნებ. ეს მხოლოდ ლიტერატურული მითითებაა. ამ ჟანრს აუცილებლად გავაგრძელებ.

- ზღაპრების ციკლიც შექმენით. მათგან ყველაზე უკეთ რომელ ზღაპარში შესძელით ჩანაფიქრის ფრთაშესხმა?

- ძალიან მიყვარს ჩემი ზღაპარპროექტი - „მელაკუდა მოლის გაკვეთილები“. ეს დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოები მიზნად ისახავს მცირეწლოვან ბავშვებში იმ ფუნდამენტური ღირებულებების ჩამოყალიბებას, რომლებზეც დგას, ზოგადად, ადამიანობის არსი და რომელიც, ვფიქრობ, არასოდეს იქცევა დროის მსხვერპლად. „მელაკუდა მოლის გაკვეთილები“ დინამიკური პროექტია, რომელიც გაგრძელდება. ბავშვებს წინ კიდევ უამრავი საინტერესო გაკვეთილი ელოდებათ.

- პატარა მკითხველი როგორია, რას ითხოვს ის მწერლისგან?

- საბავშვო მწერალი პატარებს მარტივ, მათთვის გასაგებ ენაზე უნდა ესაუბრებოდეს. მასალა, შემეცნებითთან ერთად, აუცილებლად უნდა იყოს სახალისო, უპირველესად კი საბავშვო მწერალი უნდა იყოს გულწრფელი. პატარებს ვერ მოატყუებ, ისინი შენში შინაგან ბავშვს ხედავენ.

- სანამ სამწერლო გზას დაადგებოდით, ანუ საიდან მოდიხართ, გარემო, სადაც გაიზარდეთ, რა გისაგზლათ მშობლიურმა ბუნებამ?

- გავიზარდე პედაგოგების ოჯახში. უბედნიერესი ბავშვობა მქონდა, რისთვისაც მშობლების მადლობელი ვარ. არასოდეს აუწევიათ ხმისთვის ჩვენს სახლში, დედა და მამა უსაზღვროდ სცემდნენ პატივს ერთმანეთს და ამას დემონსტრაციულად გვაჩვენებდნენ. ეს იყო ყველაზე დიდი საჩუქარი, ძვირფასი მემკვიდრეობა, რამაც სულიერი სიმშვიდე და სასიცოცხლოდ აუცილებელი ენერგია მომცა.

- გზას, რომელსაც ადგახართ, სიხარულთან ერთად საწუხარიც ახლავს. ყველაზე მეტად რა გაწუხებთ?

- ყველაზე მეტად ადამიანებში უსიყვარულობა, სიკეთის ნაკლებობა მაწუხებს. ერთმანეთის მოსმენის უნარი დავკარგეთ. სამწუხაროდ, ასეთ ადამიანებსაც შემახვედრა ცხოვრებამ და ყველაზე ცუდი, იცით, რა არის? როდესაც ხვდები, რომ, შენი თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, მათ არ შეუძლიათ ნათქვამის არც გააზრება და არც გაგება... ამიტომაც ვანიჭებ უდიდეს მნიშვნელობას ბავშვებში ღირებულებების სწორად და დროულად ჩამოყალიბებას. ზრდასრულ ასაკში ამას თითქმის აღარაფერი შველის.

- სამომავლო მიზნებსა და პროექტებზე რას გვეტყვით?

- ზოგადად, ლექსებისა და ნოველების შესაქმნელად განსაკუთრებული ემოცია მჭირდება, აი, საბავშვო კი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ განწყობაზე შემიძლია ვწერო. ეს, უდავოდ, ჩემი საქმეა და თუ უფლის ნება იქნება, წინ დიდი გეგმებიც მაქვს. გარდა ამისა, პედაგოგიც ვარ და შინაგან კომფორტს ვგრძნობ, როდესაც საბავშვო ნაწარმოებებში აღმზრდელობით და ლიტერატურულ საქმიანობას შესანიშნავად ვუთავსებ ერთმანეთს.

- დიდი ოჯახის დიასახლისი ბრძანდებით და, როგორც ამბობენ, სანიმუშოც. გაგვაცანით თქვენი ოჯახი.

- რვაშვილიანი ოჯახის რძალი ვარ. მყავს ფილოლოგი მეუღლე და ორი ვაჟი: უფროსი იურისტია, უმცროსი - აგროტექნოლოგი. ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთი შვილიშვილის - სამი წლის სოფიო გოგატიშვილის ბებია ვარ.

- ადამიანი ბედნიერი რომ იყოს, ამის წინაპირობად რა მიგაჩნიათ?

- ბედნიერებას არ აქვს ფორმულა. მე მინახავს ყველა წყალობით სავსე და მაინც უბედური ადამიანები და მცირედით კმაყოფილი ხალხიც... ძალიან მიყვარს გამოთქმა - გინდა იყო ბედნიერი? იყავი! ამიტომ, ბედნიერებაა, როცა შეგიძლია იყო ბედნიერი!

- სასწაულად რა მიგაჩნიათ?

- სამყარო თავად სასწაულია!

- როცა დილით იღვიძებთ, განწყობა, რომელიც გეუფლებათ და გასაზრდოებთ...

- როდესაც ვიღვიძებ, ვამბობ: გმადლობ, უფალო, ყველაფრისთვის, რაც მაქვს. შემდეგ ვუღიმი მზეს! მზე და დარი მიყვარს უკიდეგანოდ. ხშირად მიჩნდება სურვილი, მთელი დედამიწა ერთი ხელის მოსმით ჩავიხუტო!

- როცა განვლილ დღეს აანალიზებთ...

- კმაყოფილი ვარ, თუ შევძელი და რაიმე სასარგებლო გავაკეთე, თუნდაც ერთი მადლიანი სიტყვა ვუთხარი ვინმეს.

- როგორ გგონიათ, გულწრფელობა მოსწონთ ადამიანებს? თავად რამდენად გულწრფელი ხართ?

- ვთვლი, რომ გულწრფელი ვარ. დიახ, გულწრფელობა მოსწონთ ადამიანებს, მაგრამ იყო გულწრფელი, არაა მარტივი, ამისთვის აუცილებელი პირობაა, არაფერი გქონდეს დასამალი.

- წუთისოფლის სტუმრები ვართ... როცა ამაზე ფიქრობთ.

- სულ ვფიქრობ, ჩემი არსებობით, ნეტავი, ცოტათი მაინც თუ გავალამაზე სიცოცხლე.

- გასძახეთ სამყაროს თქვენი უმთავრესი სათქმელი...

- ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი!